III მსოფლიო კრების ხსენების დღეს ეფესოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში ლიტურგია აღესრულა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.09.2022. 22 სექტემბერს,წმინდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანნას ხსენების დღეს და III მსოფლიო კრების (431) მოსახსენებლად, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს მრევლის სულიერ გამოკვების ორგანიზებაზე პასუხისმგებელმა მღვდელმა გიორგი სერგეევმა ლიტურგია აღასრულა ეფესოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახ. ტაძარში, სადაც თავის დროზე ეფესოს წმინდა მსოფლიო კრება ჩატარდა. მღვდელმსახურს თანამწირველობა გაუწიეს კლირიკოსებმა, რომლებიც მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოებს სულიერად კვებავენ ანტალიაში – მღვდელმა ალექსი გოლოვინმა და ალანიაში – მღვდელმა

დიმიტრი ბოგატირმა.

ღვთისმსახურებას მომლოცველთა სიმრავლე დაესწრო სტამბულიდან, ანტალიიდან, იზმირიდან, ალანიიდან, მარმარისიდან, მანავგატიდან და კუშადასიდან. მრავალი მათგანი ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ეზიარა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ მამა გიორგიმ მურწმუნეებს ქადაგებით მიმართა და III მსოფლიო კრების დოგმატები განუმარტა.

მღვდელმსახურმა მადლობა გადაუხადა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს იმისთვის რომ ნებართვა მისცა, საღვთო მსახურება აღესრულებინათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში, რომელიც ქალაქ-მუზეუმ ეფესოში მდებარეობს, ასევე, ა.ი. სოლჟენიცინის სახ. რუსული კულტურის საზოგადოების თავმჯდომარეს ა. პონომარიოვს მორწმუნეთა სამომლოცველო მოგზაურობის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.

***

III მსოფლიო კრება შედგა 431 წელს ქალაქ ეფესოში (მცირე აზია) იმპერატორ თეოდოსეს ზეობის ხანში (408-450). კრება მოწვეულ იქნა ეკლესიის მიერ კონსტანტინეპოლის პატრიაქ ნესტორის (428-431) ცრუ სწავლების განსახილველად. კრებამ დაგმო ნესტორის მწვალებლობა და დაამტკიცა მართლმადიდებლური სწავლება იმის შესახებ, რომ უფალ იესო ქრისტეში უნდა ვაღიაროთ ერთი პირი (ჰიპოსტასი) და ორი ბუნება – ღთვთაებრივი და კაცობრივი, ხოლო უფლის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქებას უნდა ვასხამდეთ როგორც მარად ქალწულს და ჭეშმარიტ ღვთისმშობელს. კრების წმინდა მამებმა გამოსცეს მიიღეს რვა კანონი და წმინდა კირილე ალექსანდრიელის „თორმეტი ანათემა ნესტორის წინააღმდეგ“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89667/